ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №195

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 13 ივნისი 2016 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - ,,ხელშეკრულება") – ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში-,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

,,მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:

,,დღე" ,,კვირა" ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ **TRESGE22**, ა/ა **GE24NB033010020011650 22** – (შემდგომში - ,,შემსყიდველი").

და მეორეს მხრივ: შ.პ.ს. ,,ჯეოვოის ტრეიდინგი"-ს შორის, რომლის რეკვიზიტებია: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. 11 ბ, ს/კ 401165055, „საქართველოს ბანკი" , ბ/კBAGAGE22, GE75BG0000000582758000 - შემდგომში „მიმწოდებელი".

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: CPV- 44500000/44523200, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სათათბირო დარბაზში , მაგიდაზე დასადები მიკროფონის სამაგრის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესასყიდი საქონლის ღირებულება შეადგენს: 30 (ოცდაათი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ა) მიწოდებული საქონელის ერთეულის ფასი შეადგენს: ინვოისის შესაბამისად;

ბ) საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. დუშეთი რუსთაველის N 27.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე, მიწოდების დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.
5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.
5.5მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

6.საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს გამგეობის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური.

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში.
9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 18.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.
16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგ
16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
16.6 16.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2016 წლის 02 აგვისტო .
18.2 მომსახურების მიწოდების ვადაა: –2016 წლის 30 ივნისი.
(რიცხვი, თვე, წელი)
18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

შემსყიდველი

დუშეთის მუნიციპალიტეტის
გამგებელი: /ვ.ჩოხელი/

მიმწოდებელი

შ.პ.ს. „ჯეოვოის ტრეიდინგი"-ს
დირექტორი: /ლ.მათითაიშვილი/

იურისტი:

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

13 ივნისი 2016 წელი.

ქ. დუშეთი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი პირები ხელისმოწერით ადასტურებენ, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით , დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სათათბირო დარბაზში , მაგიდაზე დასადები მიკროფონის სამაგრის შესყიდვის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი: /ვ. ჩოხელი/

მუნიციპალური შესყიდვების
სამსახურის უფროსი: /მ. ზაქაიძე/

სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების
უფროსი: /გ. ჭონქაძე/

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ ვაჟა ჩოხელს

ქონების მართვისა და ეკონომიკური

განვითარების სამსახურის სამეურნეო-

ტექნიკური განყოფილების უფროსის

გია ჭონქაძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სათათბირო დარბაზსში გვესაჭიროება მიკროფონის სამაგრი მაგიდაზე დასადები - 1 ცალი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს.

წარმოგიდგენთ ინვოისს და გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს მოამზადონ ხელშეკრულება მის შესაძენად

სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების

უფროსი: /გ. ჭონქაძე/

08.06.2016

საქართველო. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარეგისტრაციო სამსახური. მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

22932445 1

"10" 06 2016 წ.

№ 321

საქართველო

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა

შემოსულია № 1916

"09" 06 2016

შემავალი _____ მეორე _____

შპს "ჯეოვოის ტრეიდინგი"
ს/კ:406165055
ქ.თბილისი, ბახტრიონის 11 ბ
ტელ:+995593276271
Mail:Lasha@geovoice.ge

დამკვეთი:
შპს
ს/კ:

თარიღი: 7-Jun-16

#	დასახელება	მოდელი	ერთეული	ერთ.ფასი	სულ
1	მიკრ. სამაგრი მაგიდაზე დასადებ	CMX	1	30	30.00 ₾
2					- ₾
3					- ₾
4					- ₾
5					- ₾
6					- ₾
7					- ₾
8					- ₾
9					- ₾
10					- ₾
11					- ₾
12					- ₾
13					- ₾
14					- ₾
15					- ₾

სულ 30.00 ₾

სულ ჯამი 30.00 ₾

ფასი მოიცავს დღგ-ს 18%

საბანკო რეკვიზიტები
სს "საქართველოს ბანკი "
GE75BG0000000582758000

დირექტორი: ლაშა მათითაიშვილი